უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს
სხდომის ოქმი № 50

ქ. თბილისი

სხდომის თარიღი 19/09/2019 წ
სხდომის დაწყების დრო 16:00 სთ
სხდომის დამთავრების დრო 17:55 სთ
საბჭოს თავმჯდომარე - ქეთევან ქოქრაშვილი
საბჭოს მდივანი - ნინო ლიპარტია
სხდომის მდივანი - სალომე თოთიბაძე

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს (შემდგომში - საბჭო) სხდომაზე დამსწრე წევრები:

1. ქეთევან ქოქრაშვილი - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელი, სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის პროფესორი; **(საბჭოს თავმჯდომარე)**

2. ნინო ლიპარტია - „იურიდიული პროფესიის განვითარების ცენტრის" აღმასრულებელი დირექტორი; **(საბჭოს მდივანი)**

3. ნატო გენგიური - სსიპ - საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრის და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი;

4. ირაკლი ბურდული - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დეკანის მოადგილე, პროფესორი;

5. სერგო ჭელიძე - შპს - კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი;

6. ნიკოლოზ ჯავახიშვილი - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი;

7. ხათუნა თოდაძე - სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ვიცე-რექტორი, ნარკოლოგიის დეპარტამენტის ხელმძღვანელი;

8. მაკა ლაშხია - სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი;

9. გიორგი ქვარცხავა - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აგრარული მეცნიერებების და ბიოსისტემების ინჟინერიის ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი;

10. დენიტა ბიბილეიშვილი - საქართველოს საინჟინრო აკადემიის წევრ-კორესპონდენტი; სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სწავლების დეპარტამენტის საგანმანათლებლო პროგრამების განყოფილების უფროსი;

11. სალომე თოთიბაძე - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სტუდენტი;

12. თეა მჭედლური - საქართველოს არასამთავრობო ორგანიზაციათა კოალიციის თელავის ფილიალის თავმჯდომარე.

საბჭოს თავმჯდომარე _____

ხელმოწერა

სხდომაზე დამსწრე პირები

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის თანამშრომლები

№	სახელი, გვარი	სტატუსი
1	ქრისტინე აბულაძე	უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სამმართველოს სპეციალისტი

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლები

№	სახელი, გვარი	საგანმანათლებლო დაწესებულების დასახელება	სტატუსი	საკითხი
1	პაატა გოგიშვილი	ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტი	ხარისხის უზრუნველყოფისა და სტრატეგიული განვითარების სამსახურის უფროსი	I
2	თამარ ტუფინაშვილი	შპს საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტი	ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი	II
3	ქეთევან ნანობაშვილი	შპს საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტი	ბიზნესისა და სოციალურ მეცნიერებათა დეკანი	II
4	თამარ ქომლიანიძე	შპს საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტი	ტურიზმის საბაკალავრო პროგრამის ხელმძღვანელი	II
5	ნინო მილაშვილი	სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი	ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი	III, IV, V
6	ირმა ქურდაძე	სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი	„დაწყებითი განათლების მასწავლებლის მომზადების“ ინტეგრირებული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი	III, IV, V
7	ცისკარა ზარანდია	სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი	„ბიზნესის ადმინისტრირების“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი	III, IV, V

საბჭოს თავმჯდომარე

ხელმოწერა

8	თინა გელაშვილი	სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი	„ბიზნესის ადმინისტრირების“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი	III, IV, V
9	ელიზბარ ელიზბარაშვილი	სსიპ იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი	პროფესორი, პროგრამის ხელმძღვანელი	VI
10	იზოლდი ჭინჭარაშვილი	სსიპ იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი	ასოცირებული პროფესორი, პროგრამის ხელმძღვანელი	VI
11	შალვა ჭკადუა	სსიპ იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი	ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი	VI
12	ლევან მიდოდაშვილი	სსიპ გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი	ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი	VII
13	ციური დურული	სსიპ გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი	სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის უფროსი	VII
14	ლაურა ელიაური	სსიპ გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი	ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი	VII
15	ნოდარ მირაზანაშვილი	სსიპ გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი	პროგრამის ხელმძღვანელი	VII

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის ექსპერტები

№	სახელი, გვარი	ინფორმაცია ელექტრონული კომუნიკაციის საშუალებით მონაწილეობის შესახებ	საკითხი
1	ეკა ლეკაშვილი		I
2	მარიანა იმნაძე		I
3	ელენე სეთურიძე		I

საბჭოს თავმჯდომარე

ხელმოწერა

საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების" (შემდგომში - აკრედიტაციის დებულება) 27^2 მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, საბჭო უფლებამოსილია, რადგან სხდომაზე წარმოდგენილია საბჭოს წევრთა სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა აკრედიტაციის დებულების 27^5 მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის თანახმადაც, საბჭოს წევრი უფლებამოსილი არ არის, თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან.

სხდომის დღის წესრიგის პროექტი

1. შპს საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის ,,ტურიზმის" საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
2. სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ ,,დაწყებითი განათლების მასწავლებლის მომზადების" ინტეგრირებულ პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;
3. სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ ,,ბიზნესის ადმინისტრირების" საბაკალავრო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;
4. სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ ,,ბიზნესის ადმინისტრირების" სამაგისტრო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;
5. სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ ,,მეტეოროლოგია-კლიმატოლოგიის" სამაგისტრო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;
6. სსიპ - გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის მიერ "ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის მომზადების" ინტეგრირებულ (საბაკალავრო-სამაგისტრო) პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;
7. ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის „ბიზნესის ადმინისტრირების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის შესახებ" საბჭოს 2019 წლის 04 აპრილის №93-ე გადაწყვეტილებაში აკრედიტაციის ვადის შესახებ ტექნიკური ცვლილების საკითხის განხილვა.

შუამდგომლობა დღის წესრიგის ცვლილებასთან დაკავშირებით

✓ კი

შუამდგომლობის ინიციატორის სახელი, გვარი, სტატუსი

თეა ნადირაძე, უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სამმართველოს უფროსი

ცვლილების არგუმენტაცია - „ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის „ბიზნესის ადმინისტრირების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის შესახებ" საბჭოს 2019 წლის 04 აპრილის №93-ე გადაწყვეტილებაში აკრედიტაციის ვადის შესახებ ტექნიკური ცვლილების განხორციელების აუცილებლობა.

საბჭოს თავმჯდომარე _____

ხელმოწერა

დამტკიცებული სხდომის დღის წესრიგი

1. „ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის „ბიზნესის ადმინისტრირების“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის შესახებ“ საბჭოს 2019 წლის 04 აპრილის №93-ე გადაწყვეტილებაში აკრედიტაციის ვადის შესახებ ტექნიკური ცვლილების საკითხის განხილვა;
2. შპს საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის ,,ტურიზმის“ საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
3. სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ ,,დაწყებითი განათლების მასწავლებლის მომზადების“ ინტეგრირებული პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;
4. სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ ,,ბიზნესის ადმინისტრირების“ საბაკალავრო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;
5. სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ ,,ბიზნესის ადმინისტრირების“ სამაგისტრო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;
6. სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ ,,მეტეოროლოგია-კლიმატოლოგიის“ სამაგისტრო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;
7. სსიპ - გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის მიერ ,, ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის მომზადების“ ინტეგრირებულ (საბაკალავრო-სამაგისტრო) პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა.

1. პირველი საკითხი: „ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის „ბიზნესის ადმინისტრირების“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის შესახებ“ საბჭოს 2019 წლის 04 აპრილის №93-ე გადაწყვეტილებაში აკრედიტაციის ვადის შესახებ ტექნიკური ცვლილების საკითხის განხილვა

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სამმართველოს უფროსის მიერ სხდომაზე განსახილველად წარმოდგენილი იყო „ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის „ბიზნესის ადმინისტრირების“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის შესახებ“ საბჭოს 2019 წლის 04 აპრილის №93-ე გადაწყვეტილებაში აკრედიტაციის ვადის შესახებ ტექნიკური ცვლილების საკითხი.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა „ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის „ბიზნესის ადმინისტრირების“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის შესახებ“ საბჭოს 2019 წლის 04 აპრილის №93-ე გადაწყვეტილებაში აკრედიტაციის ვადის შესახებ ტექნიკური ცვლილების საკითხის განხილვა.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე:11
წინააღმდეგი: 0

საბჭოს გადაწყვეტილებით გასწორდა „ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის „ბიზნესის ადმინისტრირების“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის შესახებ“ საბჭოს 2019 წლის 04 აპრილის №93-ე გადაწყვეტილების პირველ პუნქტში დაშვებული ტექნიკური ხარვეზი და ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის „ბიზნესის ადმინისტრირების“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის ვადად ნაცვლად 7 წლისა, განისაზღვრა 4 წელი.

საბჭოს თავმჯდომარე _____

ხელმოწერა

2. მეორე საკითხი: შპს საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის „ტურიზმის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

№	ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება[1]	ტურიზმი (Tourism)
2	სტატუსი[2]	ავტორიზებული
3	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	2018 წლის 25 სექტემბერი; №74
4	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება[3]	„-----„
5	უმაღლესი განათლების საფეხური[4]	ბაკალავრიატი
6	კვალიფიკაციის დონე[5]	მეექვსე
7	კვალიფიკაციის დასახელება	ტურიზმის ბაკალავრი
8	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით[6]	„----„
9	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	1015 მოგზაურობა, ტურიზმი და დასვენება
10	კვალიფიკაციის კოდი[7]	1015
11	სწავლების ენა	ქართული
12	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	240
13	განხორციელების ადგილი[8]	საქართველო, 0179, ქ. თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზ. № 25
14	ამ გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღი	„-----„
15	აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოსადგენად/მონიტორინგის განსახორციელებლად განსაზღვრული ვადა[9]	„----„
16	აკრედიტაციის ვადის გასვლის თარიღი	„------„

[1] დეტალური სწავლის სფეროს შესაბამისი
[2] ავტორიზებული ან/და ხელახალი აკრედიტაცია; ავტორიზებული ან/და ახალი აკრედიტაცია
[3] საგანმანათლებლო პროგრამის დასახელების ცვლილების შემთხვევაში
[4] ბაკალავრიატი; მაგისტრატურა; საბაკალავრო-სამაგისტრო; დოქტორანტურა
[5] ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მიხედვით
[6] მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში
[7] სწავლის სფეროების კლასიფიკატორის შესაბამისი დეტალური სფეროს ოთხნიშნა კოდი
[8] ქვეყანა, ქალაქი/მუნიციპალიტეტი, საფოსტო ინდექსი, ქუჩა, ქუჩის ნომერი
[9] საბჭოს მიერ რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოდგენის შესახებ/მონიტორინგის განსახორციელებლად გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში

საბჭოს თავმჯდომარე _____

ხელმოწერა

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

✓ არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

✓ არა

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მეორე საკითხის ზეპირი მოსმენა

ექსპერტ(ებ)ის პოზიციის განხილვა

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, ეკა ლეკაშვილმა აღნიშნა, რომ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდებოდა ავტორიზებულ რეჟიმში, რომელზეც სწავლობს 14 სტუდენტი. 13 სტუდენტი აქტიურია, მიმდინარე წელს კი ჩაირიცხა კიდევ 22 სტუდენტი. მისი თქმით, როგორც უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლისგან აქვთ ინფორმაცია, სტუდენტთა ჯგუფი მობილობით შეივსო.
საგანმანათლებლო პროგრამა არის 240 კრედიტიანი, აქედან: 137 კრედიტი - ძირითადი სასწავლო კომპონენტი; 107 კრედიტი - თავისუფალი კომპონენტი; 10 კრედიტი – საბაკალავრო ნაშრომი; 10 კრედიტი - პრაქტიკა.
მისი თქმით, საგანმანათლებლო დაწესებულებაში, ექსპერტთა ვიზიტი განხორციელდა 2019 წლის 29 აგვისტოს, რომელმაც ჩაიარა კოლეგიურ გარემოში. რაც შეეხება სტანდარტების შეფასებას, ექსპერტთა თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ საგანმანათლებლო პროგრამა შესაბამისობაშია 1.1; 1.2; 2.1; 2.2; 2.4; 2.6; 3.1; 4.1; 4.2; 4.3; 4.4; 5.1; 5.2; 5.3 ქვესტანდარტებთან, ხოლო მეტწილად შესაბამისობაშია 2.3 და 2.5 ქვესტანდარტებთან. ექსპერტმა აღნიშნა, რომ გაიცა ორი რეკომენდაცია, ხოლო უშუალოდ საგანმანათლებლო პროგრამის გადამუშავებაზე დაწესებულების წარმომადგენლები ისაუბრებდნენ. ექსპერტთა თავმჯდომარის თქმით, პირველი რეკომენდაცია ეხებოდა სასწავლო მასალებს შემდეგ სასწავლო კურსებში:

1. პიარ მენეჯმენტი;
2. ტურიზმის დაგეგმვა ეროვნულ და რეგიონულ დონეზე;
3. დანიშნულების ადგილის მენეჯმენტი;
4. სამკურნალო და გამაჯანსაღებელი ტურიზმი;
5. პერსონალის მართვა ტურიზმში;
6. ტურიზმის მარკეტინგი;
7. კვებისა და სასმელების მენეჯმენტი ტურიზმში;
8. კულტურული ტურიზმი.

სავალდებულო სასწავლო ლიტერატურის ჩამონათვალი ჩანაცვლდეს შესაბამისი რიდერებით. მან ასევე აღნიშნა, რომ ხსენებული ლიტერატურა არის 2005, 2006, 2007 და შემდგომი წლების გამოცემები, მაგრამ ისინი წარმოდგენილია სხვა, ბოლო პერიოდში გამოცემულ სავალდებულო ლიტერატურასთან ერთად.

საბჭოს თავმჯდომარე _____

ხელმოწერა

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით, მოძველებული ლიტერატურა გამოიყენება გარკვეულ თემებთან მუშაობისას.
შემდეგი რეკომენდაცია ეხებოდა საბაკალავრო ნაშრომის წინაპირობას. ექსპერტის თქმით, სილაბუსში მოცემული წინაპირობა არ შეესაბამებოდა კურიკულუმის წინაპირობას, კონკრეტულად, შეუსაბამობა აღმოჩნდა როგორც ბეჭვდით ნაწილში, ასევე, ინტერვიუების პროცესში. შესაბამისად, ექსპერტთა ჯგუფს მიაჩნია, რომ აღნიშნული ორი პირობა წარმოდგენილი უნდა იყოს ერთნაირად, რადგან სტუდენტი არ დაიბნეს ამ კომპონენტის არჩევის პროცესში.

საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლების პოზიცია

დაწესებულების წარმომადგენელმა, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა თამარ ტუფინაშვილმა აღნიშნა, რომ უნივერსიტეტი „ტურიზმის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას ახორციელებდა 2011 წლიდან, თუმცა 2018 წლის 25 ივლისის აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებით, საგანმანათლებლო პროგრამას უარი ეთქვა აკრედიტაციაზე, რაც გაასაჩივრეს სააპელაციო საბჭოში, თუმცა ამ უკანასკნელმა გაიზიარა აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილება უარის თქმის თაობაზე. მისივე განმარტებით, საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდება 2018 წლის 25 სექტემბრიდან ავტორიზებულ რეჟიმში. მიუხედავად იმისა, რომ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებას ჩარიცხვისა და მობილობის კუთხით აქვს აქტივობა, დაწესებულების წარმომადგენლის თქმით, საგანმანათლებლო პროგრამა მაინც გადაამუშავეს და გაითვალისწინეს როგორც დარგის ექსპერტების პოზიცია, ასევე აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფისა და საბჭოს რეკომენდაციები. მან აღნიშნა ისიც, რომ ცვლილებები შეეხო სასწავლო გეგმას, კრედიტების გადათამაშებას სასწავლო კომპონენტებს შორის და განახლებულ სტანდარტს, რომლის მიხედვითაც წარმოადგინეს საგანმანათლებლო პროგრამა.
ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა საბაკალავრო ნაშრომთან დაკავშირებით უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების პოზიცია დააფიქსირა. მან აღნიშნა, რომ სასწავლო გეგმის მიხედვით, საბაკალავრო ნაშრომს მითითებული აქვს რამდენიმე სავალდებულო სასწავლო კურსი. უნივერსიტეტში საბაკალავრო თემისა და ხელმძღვანელის დამტკიცება ხდება სასწავლო სემესტრის დაწყებამდე და სასწავლო გეგმაში მითითებული სასწავლო კურსების ჩამონათვალი არის უშუალოდ საბაკალავრო ნაშრომზე დაშვების წინაპირობა, ხოლო საბაკალავრო ნაშრომის დაცვაზე დაშვების წინაპირობები გახლავთ: დადებითი დასკვნა, რეცენზენტის შეფასება, 230 კრედიტის დაგროვება და ა. შ.
დაწესებულების წარმომადგენელმა, საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელმა თამარ ქობლიანიძემ საგანმანათლებლო პროგრამის სავალდებულო ლიტერატურასთან დაკავშირებით განმარტა, რომ გარკვეული სასწავლო კურსების სილაბუსებში ახალ ლიტერატურასთან ერთად, მითითებული იყო შედარებით მოძველებული ლიტერატურა, რაზეც ექსპერტთა ჯგუფმა ვიზიტის დროსა და შემდგომში მიგნებების დროს დააფიქსირეს თავიანთი პოზიცია. შესაბამისად, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლებმა აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით დაუყოვნებლივ დაიწყეს მუშაობა და მოამზადეს რიდერები, რომლებიც თან ჰქონდათ და დაინტერესების შემთხვევაში წარმოადგენდნენ.

დისკუსია

საბჭოს წევრმა დენიტა ბიბილეიშვილმა ამოიკითხა ამონარიდი თვითშეფასების ანგარიშიდან, სადაც მითითებული იყო, რომ 2014 წელს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ჩაირიცხა 14 სტუდენტი, რაც შეადგენს გამოცხადებული ადგილების 14%-ს; საგანმანათლებლო პროგრამიდან გარე მობილობით გადავიდა 19 სტუდენტი, შიდა მობილობით - 2 სტუდენტი, შესაბამისად, საბჭოს წევრისთვის გაუგებარი აღმოჩნდა, თუ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებას მხოლოდ 14 სტუდენტი ჰყავდა, 21 სტუდენტი როგორ გადავიდა მობილობით.

ამის საპასუხოდ, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ ისინი აღნიშნულ საგანმანათლებლო პროგრამას ახორციელებენ 2011 წლიდან, ხოლო ის სტუდენტები, რომლებმაც ისარგებლეს მობილობით, იყვნენ აღდგენილი სტუდენტები.

საბჭოს თავმჯდომარე _____

ხელმოწერა

საბჭოს წევრი ასევე დაინტერესდა თუ რატომ არ ჰყავდა დაწესებულებას 2018 წელს კურსდამთავრებულები, რაზეც უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენელმა უპასუხა, რომ სტუდენტთა უმეტესობამ ისარგებლა მობილობით და შესაბამისად, 2019 წელს მხოლოდ იმ სამმა სტუდენტმა დაასრულა სწავლა, რომლებიც უკვე მეცხრე სემესტრში იყვნენ გადასულნი.

საბჭოს წევრმა სერგო ჭელიძემ სთხოვა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენელს, პრაქტიკასთან დაკავშირებით უფრო დეტალურად ესაუბრა.

საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ პრაქტიკა წარმოდგენილია 10 კრედიტის მოცულობით და ხორციელდება რამდენიმე ობიექტზე: ტურისტულ კომპანიებში, რესტორნებში, სასტუმროებში და ა.შ. პრაქტიკული უნარების გამომუშავებისას, ძირითადი ყურადღება ექცევა სტუდენტთა უშუალო ყოფნას საწარმოს ტერიტორიაზე. მისი განმარტებით, პრაქტიკის ობიექტების წარმომადგენელთა დიდი ნაწილი, ჩართულია პრაქტიკის სილაბუსის ფორმირებაში. მაგალითად, გამოითქვა სურვილი, სოციალური მედია-მარკეტინგის მიმართულებით სტუდენტებს დახმარებოდნენ გარკვეული უნარების შეძენაში, რაზეც იმუშავეს კიდეც და გადაწყდა, რომ პრაქტიკული კომპონენტები შეევსოთ ციფრული თუ თანამედროვე საინფორმაციო ტექნოლოგიებით. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენელმა სასტუმროს მენეჯმენტთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ მათ დაამატეს ფრონტ ოფისის მენეჯმენტი, რომელიც ისწავლება სასწავლო მაგალითებთან ერთად.

საბჭოს წევრი ნატო გენგიური დაინტერესდა, თუ რამ განაპირობა სტუდენტთა გადინება, რაზეც დაწესებულების წარმომადგენელმა უპასუხა, რომ აღნიშნული საგანმანათლებლო პროგრამის საფასური გახლდათ 3 900 ლარი, რომელიც წელს გაიაფდა, რაც აისახა კიდეც სტუდენტთა რაოდენობის მატებაზე. შესაბამისად, წელს დაწესებულებას ამ მიმართულებით 30-მდე სტუდენტი ეყოლება.

ბოლოს, ექსპერტმა დამატებით აღნიშნა, რომ ის წინა აკრედიტაციის დროს იყო ექსპერტთა ჯგუფის თავჯდომარე და ის ფაქტი, რომ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება ითვალისწინებს რეკომენდაციებს აშკარად ჩანს, მითუმეტეს, რომ მათ მოამზადეს რიდერებიც და საჭიროების შემთხვევაში მზად იყვნენ საბჭოზე წარსადგენად.

სათათბირო შესვენება

დაწყების დრო 16:42
დამთავრების დრო 16:56

ხათუნა თოდაძე შემოუერთდა სხდომას 16:56

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის ,,ტურიზმის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის 7 წლის ვადით აკრედიტაციის მინიჭების საკითხი.

საბჭოს მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება და კენჭისყრა

საბჭო სრულად იზიარებს ექსპერტთა დასკვნაში ასახულ შეფასებას

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე: 11

წინააღმდეგი: 0

საბჭოს თავმჯდომარე

ხელმოწერა

გადაწყვეტილება

✓ აკრედიტაციის შესახებ

☐ პირობითი აკრედიტაციის შესახებ

☐ აკრედიტაციაზე უარის თქმის შესახებ

☐ აკრედიტაციის გაუქმების შესახებ

"უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი და მე-3[1] პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა" ქვეპუნქტის და 3[1] პუნქტის, აკრედიტაციის დებულების 27[2] მუხლის პირველი პუნქტის, 27[5] მუხლის პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტის და მე-5 პუნქტის, 27[6] მუხლის პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, შპს საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის ,,ტურიზმის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას 7 წლის ვადით მიენიჭა აკრედიტაცია.

საბჭოს წევრმა, ნიკოლოზ ჯავახიშვილმა სხდომა დატოვა 16:57 საათზე.

3. მესამე საკითხი: სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ ,,დაწყებითი განათლების მასწავლებლის მომზადების" ინტეგრირებულ პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა

№	ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება[10]	დაწყებითი განათლების მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო
2	სტატუსი[11]	აკრედიტებული
3	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	2018 წლის 08 აგვისტო, №97
4	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება[12]	დაწყებითი განათლების მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო
5	უმაღლესი განათლების საფეხური[13]	საბაკალავრო-სამაგისტრო
6	კვალიფიკაციის დონე[14]	მეშვიდე
7	კვალიფიკაციის დასახელება	განათლების მაგისტრი
8	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით[15]	დაწყებითი, მათემატიკა, ბუნებისმეტყველება I-IV კლასი, ქართული ენა-ლიტერატურა I-IV კლასი

[10] დეტალური სწავლის სფეროს შესაბამისი

[11] ავტორიზებული ან/და ხელახალი აკრედიტაცია; ავტორიზებული ან/და ახალი აკრედიტაცია

[12] საგანმანათლებლო პროგრამის დასახელების ცვლილების შემთხვევაში

[13] ბაკალავრიატი; მაგისტრატურა; საბაკალავრო-სამაგისტრო; დოქტორანტურა

[14] ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მიხედვით

[15] მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში

საბჭოს თავმჯდომარე

ხელმოწერა

9	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0114 მასწავლებლის მომზადება საგნობრივი სპეციალიზაციით
10	კვალიფიკაციის კოდი[16]	03
11	სწავლების ენა	ქართული
12	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	300
13	განხორციელების ადგილი[17]	საქართველო, 0800 ქ. ახალციხე, რუსთაველის ქ. №113
14	გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღი	2018 წლის 8 აგვისტო
15	აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოსადგენად/მონიტორინგის განსახორციელებლად განსაზღვრული ვადა[18]	1 წელი (08 აგვისტო)
16	აკრედიტაციის ვადის გასვლის თარიღი	2022 წლის 08 აგვისტო

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

✓ არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

✓ არა

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ ანგარიშს და თანდართულ მასალებს. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

საბჭოს თავჯდომარემ გააცნო საბჭოს განსახილველი საკითხი და სთხოვა დაწესებულების წარმომადგენელს წარმოედგინა ანგარიში ,,დაწყებითი განათლების მასწავლებლის მომზადების" ინტეგრირებული პროგრამის შესახებ.

საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლების პოზიცია

დაწესებულების წარმომადგენელმა, საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელმა ირმა ქურდაძემ აღნიშნა, რომ მათ გაითვალისწინეს ყველა რეკომენდაცია და რჩევა. შესაბამისად, წარმოადგინეს ანგარიში. რეკომენდაციებთან დაკავშირებით, მან აღნიშნა, რომ რეკომენდაცია ეხებოდა კლასის მართვას, რომელიც სასურველია, ყოფილიყო ძირითად ბლოკში და მათ ეს გაითვალისწინეს. ასევე, მეორე კურსზე პროფესიული სასწავლო გარემო გადაიტანეს ძირითად ბლოკში.
შემდეგი რეკომენდაცია ეხებოდა ბუნებისმეტყველების სილაბუსებში ინტერდისციპლინური სწავლების ელემენტის გათვალისწინებას, რაც შეასრულეს და უფრო მეტიც, გამომდინარე იქიდან, რომ ის გახლავთ განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს კურიკულუმის დაგეგმვის ექსპერტი, მისი ჩართულობით ახალი სკოლის მოდელის ფარგლებში, ბუნებისმეტყველების სილაბუსები გაჯერდა ინტერდისციპლინურობის ელემენტით. ბუნებისმეტყველება 2 და ბუნებისმეტყველება 3 მოიცავს ფიზიკის, ქიმიის, გეოგრაფიისა და ასტრონომიის ელემენტებს.
რაც შეეხება რჩევებს, ექსპერტთა აზრით სილაბუსები უნდა გაჯერებულიყო ახალი ლიტერატურით, რაც

[16] სწავლის სფეროების კლასიფიკატორის შესაბამისი დეტალური სფეროს ოთხნიშნა კოდი
[17] ქვეყანა, ქალაქი/მუნიციპალიტეტი, საფოსტო ინდექსი, ქუჩა, ქუჩის ნომერი
[18] საბჭოს მიერ რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოდგენის შესახებ/მონიტორინგის განსახორციელებლად გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში

ასევე, გაითვალისწინა უნივერსიტეტმა და დაამატა 2017 წელს გამოცემული სახელმძღვანელოები, მაგალითად ადეიშვილის ასტრონომიის ელემენტები.
შემდეგი რჩევა ეხებოდა პერიფერიების სკოლებთან მემორანდუმების დადებას, რაც დაწესებულების მიერ მიღებულ იქნა მხედველობაში და რეგიონის მუნიციპალიტეტის ბევრ საჯარო სკოლასთან გააფორმეს მემორანდუმი. შესაბამისად, სტუდენტებს ექნებათ პრაქტიკის გავლის საშუალება. ასევე, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით, გასწორდა პრაქტიკა 1-ში წინაპირობა და პრაქტიკა 8-ში გაიწერა მენტორის უფლებები.

იმის გათვალისწინებით, რომ მომდევნო ორი საკითხი ეხებოდა ამავე უნივერსიტეტის ანგარიშის განხილვას, საბჭოს თავჯდომარემ დააყენა შუამდგომლობა ერთად განეხილათ დარჩენილი ორივე საკითხი. საბჭოს წევრები შუამდგომლობას დაეთანხმნენ.

4. მეოთხე საკითხი: სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ „ბიზნესის ადმინისტრირების“ საბაკალავრო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა

№	ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება[19]	ბიზნესის ადმინისტრირება
2	სტატუსი[20]	აკრედიტებული
3	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	2018 წლის 26 ნოემბერი
4	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება[21]	"------"
5	უმაღლესი განათლების საფეხური[22]	ბაკალავრიატი
6	კვალიფიკაციის დონე[23]	მეექვსე
7	კვალიფიკაციის დასახელება	ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი Bachelor of Business Administration / BBA
8	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით[24]	„------„
9	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0413 მენეჯმენტი და ადმინისტრირება
10	კვალიფიკაციის კოდი[25]	02
11	სწავლების ენა	ქართული
12	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	240

[19] დეტალური სწავლის სფეროს შესაბამისი
[20] ავტორიზებული ან/და ხელახალი აკრედიტაცია; ავტორიზებული ან/და ახალი აკრედიტაცია
[21] საგანმანათლებლო პროგრამის დასახელების ცვლილების შემთხვევაში
[22] ბაკალავრიატი; მაგისტრატურა; საბაკალავრო-სამაგისტრო; დოქტორანტურა
[23] ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მიხედვით
[24] მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში
[25] სწავლის სფეროების კლასიფიკატორის შესაბამისი დეტალური სფეროს ოთხნიშნა კოდი

საბჭოს თავმჯდომარე _____

ხელმოწერა

13	განხორციელების ადგილი[26]	საქართველო, 0800 ქ. ახალციხე, რუსთაველის ქ. №122, II კორპუსი
14	გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღი	2018 წლის 26 ნოემბერი
15	აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოსადგენად/მონიტორინგის განსახორციელებლად განსაზღვრული ვადა[27]	9 თვე (2019 წლის 26 აგვისტო)
16	აკრედიტაციის ვადის გასვლის თარიღი	2025 წლის 26 ნოემბერი

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

√ არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

√ არა

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ ანგარიშსა და მასზე თანდართულ დოკუმენტაციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

საბჭოს თავჯდომარემ სთხოვა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენელს, წარმოედგინა „ბიზნეს ადმინისტრირების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის ანგარიში.

მეოთხე საკითხის ზეპირი მოსმენა

საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლის პოზიცია

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენელმა, ეკონომიკის დოქტორმა და საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელმა, ცისკარა ზარანდიამ აღნიშნა, რომ დაწესებულების მიერ რეკომენდაციების უმეტესობა გათვალისწინებულ იქნა. მისი განმარტებით, რეკომენდაცია ეხებოდა რამდენიმე სასწავლო კურსზე, კერძოდ: მარკეტინგის საფუძვლებზე, ფინანსების საფუძვლებსა და საბანკო საქმის საფუძვლებზე დაშვების წინაპირობის მოხსნას, რაც გაითვალისწინეს იმისათვის, რომ სხვა საგანმანათლებლო პროგრამების ან მაინორ პროგრამის არჩევის შემთხვევაში, სტუდენტებს გამარტივებოდათ აღნიშნული საგნის არჩევა.
შემდეგი რეკომენდაცია ეხებოდა, საბაკალავრო ნაშრომის შესრულების წესში შუალედური შეფასების კომპონენტის დამატებას, რაც ასევე გაითვალისწინეს და საბაკალავრო ნაშრომის შუალედური შეფასება გაზაფხულზე განახორციელეს. ასევე, მხედველობაში მიიღეს რეკომენდაცია, რომელიც ეხებოდა სპეციალობის მოდულებს, კერძოდ მენეჯმენტის მოდულის გაძლიერებას რისკ-მენეჯმენტის საფუძვლების საგნის დამატებით. რაც შეეხება ფინანსების მოდულში ფინანსური ინსტიტუტებისა და ბაზრის შეთავაზებას, უმაღლესმა საგანმანათლებლო დაწესებულებამ არ გაითვალისწინა ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაცია, რადგან ფინანსური ინსტიტუტები და ბაზრების საკითხები შეთავაზებულია საბანკო საქმის საფუძვლებში, კორპორაციული ფინანსები კი - ფასიანი ქაღალდების ბაზრის საგანში. შესაბამისად, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლის თქმით, ეს გამოიწვევდა რიგი საკითხების დუბლირებას.

---

[26] ქვეყანა, ქალაქი/მუნიციპალიტეტი, საფოსტო ინდექსი, ქუჩა, ქუჩის ნომერი
[27] საბჭოს მიერ რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოდგენის შესახებ/მონიტორინგის განსახორციელებლად გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში

13	განხორციელების ადგილი[26]	საქართველო, 0800 ქ. ახალციხე, რუსთაველის ქ. №122, II კორპუსი
14	გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღი	2018 წლის 26 ნოემბერი
15	აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოსადგენად/მონიტორინგის განსახორციელებლად განსაზღვრული ვადა[27]	9 თვე (2019 წლის 26 აგვისტო)
16	აკრედიტაციის ვადის გასვლის თარიღი	2025 წლის 26 ნოემბერი

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

√ არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

√ არა

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ ანგარიშსა და მასზე თანდართულ დოკუმენტაციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

საბჭოს თავჯდომარემ სთხოვა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენელს, წარმოედგინა „ბიზნეს ადმინისტრირების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის ანგარიში.

მეოთხე საკითხის ზეპირი მოსმენა

საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლის პოზიცია

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენელმა, ეკონომიკის დოქტორმა და საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელმა, ცისკარა ზარანდიამ აღნიშნა, რომ დაწესებულების მიერ რეკომენდაციების უმეტესობა გათვალისწინებულ იქნა. მისი განმარტებით, რეკომენდაცია ეხებოდა რამდენიმე სასწავლო კურსზე, კერძოდ: მარკეტინგის საფუძვლებზე, ფინანსების საფუძვლებსა და საბანკო საქმის საფუძვლებზე დაშვების წინაპირობის მოხსნას, რაც გაითვალისწინეს იმისათვის, რომ სხვა საგანმანათლებლო პროგრამების ან მაინორ პროგრამის არჩევის შემთხვევაში, სტუდენტებს გამარტივებოდათ აღნიშნული საგნის არჩევა.
შემდეგი რეკომენდაცია ეხებოდა, საბაკალავრო ნაშრომის შესრულების წესში შუალედური შეფასების კომპონენტის დამატებას, რაც ასევე გაითვალისწინეს და საბაკალავრო ნაშრომის შუალედური შეფასება გაზაფხულზე განახორციელეს. ასევე, მხედველობაში მიიღეს რეკომენდაცია, რომელიც ეხებოდა სპეციალობის მოდულებს, კერძოდ მენეჯმენტის მოდულის გაძლიერებას რისკ-მენეჯმენტის საფუძვლების საგნის დამატებით. რაც შეეხება ფინანსების მოდულში ფინანსური ინსტიტუტებისა და ბაზრის შეთავაზებას, უმაღლესმა საგანმანათლებლო დაწესებულებამ არ გაითვალისწინა ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაცია, რადგან ფინანსური ინსტიტუტები და ბაზრების საკითხები შეთავაზებულია საბანკო საქმის საფუძვლებში, კორპორაციული ფინანსები კი - ფასიანი ქაღალდების ბაზრის საგანში. შესაბამისად, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლის თქმით, ეს გამოიწვევდა რიგი საკითხების დუბლირებას.

---

[26] ქვეყანა, ქალაქი/მუნიციპალიტეტი, საფოსტო ინდექსი, ქუჩა, ქუჩის ნომერი
[27] საბჭოს მიერ რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოდგენის შესახებ/მონიტორინგის განსახორციელებლად გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში

შემდეგი რეკომენდაცია ეხებოდა გასვლით ლექციებსა და წარმატებული ბიზნესმენი სპიკერების მოწვევას, რასთან დაკავშირებითაც ჩატარდა რამდენიმე გასვლითი ლექცია, კერძოდ, ახალქალაქში ერთ-ერთ ორგანიზაციასთან ერთად და მისი თქმით, იგეგმება ანალოგიური გასვლითი ლექციები ბიზნესმენებისა და კურსდამთავრებულების მონაწილეობით. გარდა ამისა, ზურაბ მაღრაძესთან ერთად დაგეგმილია სტუდენტებისთვის მასტერკლასის ჩატარება. რაც შეეხება აკადემიური და მოწვეული პერსონალისა და სტუდენტების საერთაშორისო გაცვლით პროექტებში მონაწილეობას, ახალ სტრატეგიულ გეგმაში გაწერილია სამეცნიერო კვლევითი კომპონენტის გაძლიერება. სტუდენტთა გამოკითხვებთან დაკავშირებით, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ახალი სტრატეგიული გეგმით, გამოკითხვა ჩატარდება ყოველ სემესტრში, როგორც სასწავლო კურსების მიხედვით, (სტუდენტთა კმაყოფილების განსასაზღვრად) ასევე, მატერიალურ-ტექნიკური რესურსის შეფასებისთვის.
რაც შეეხება რჩევებს, ექსპერტთა ჯგუფის რჩევა იყო, საგანში „ფინანსური აღრიცხვა 1" ბიზნესის საფუძვლების ნაცვლად წინაპირობად შეთავაზებული ყოფილიყო მათემატიკა 1. ასევე, პრაქტიკა მოიცავდა 10 კრედიტს, საბაკალავრო კვლევითი პროექტი - 5 კრედიტს, რაც რეკომენდაციის შესაბამისად, გადაანაცვლეს.
უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით, მათ გაითვალისწინეს რჩევა მაინორ საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებით და გარდა ეკონომიკის ფაკულტეტის სტუდენტებისა, სხვა ფაკულტეტის სტუდენტებსაც მიეცათ აღნიშნული საგნის არჩევის შესაძლებლობა. ასევე, გაასწორეს ტექნიკური ხარვეზი და სასწავლო გეგმა გაწერეს პრაქტიკის სილაბუსში. საგანმანათლებლო პროგრამაში გაწერილი იყო წინაპირობა და ჩარჩოში არ ჩანდა ჩანაწერი. აგრეთვე გასწორდა კრედიტის ხარვეზიც, კერძოდ, საგანმანათლებლო პროგრამაში ძირითადი კრედიტების რაოდენობად მითითებული იყო 117 კრედიტი, მაშინ, როდესაც უნდა ყოფილიყო 127.

საბჭოს თავჯდომარე დაინტერესდა ფინანსური ინტიტუტებისა და ბაზრების საკითხების დუბლირებასთან დაკავშირებული ინფორმაციით, კერძოდ, იყო თუ არა ძველ სილაბუსებში იგივე საკითხები, რაც გამოიწვევდა დუბლირებას, რაზეც უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენელმა უპასუხა, რომ ძველ სილაბუსებშიც ხდებოდა დუბლირება და მათი პოზიცია ამის შესახებ წინა საბჭოზეც დააფიქსირეს.

5. მეხუთე საკითხი: სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ ,,ბიზნესის ადმინისტრირების" სამაგისტრო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა

№	ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება[28]	ბიზნესის ადმინისტრირება
2	სტატუსი[29]	აკრედიტებული
3	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	2018 წლის 26 ნოემბერი, №165
4	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება[30]	"------"
5	უმაღლესი განათლების საფეხური[31]	მაგისტრატურა
6	კვალიფიკაციის დონე[32]	მეშვიდე

[28] დეტალური სწავლის სფეროს შესაბამისი
[29] ავტორიზებული ან/და ხელახალი აკრედიტაცია; ავტორიზებული ან/და ახალი აკრედიტაცია
[30] საგანმანათლებლო პროგრამის დასახელების ცვლილების შემთხვევაში
[31] ბაკალავრიატი; მაგისტრატურა; საბაკალავრო-სამაგისტრო; დოქტორანტურა
[32] ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მიხედვით

საბჭოს თავმჯდომარე

ხელმოწერა

7	კვალიფიკაციის დასახელება	ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრი
8	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით[33]	„------„
9	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0413 მენეჯმენტი და ადმინისტრირება
10	კვალიფიკაციის კოდი[34]	02
11	სწავლების ენა	ქართული
12	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	120
13	განხორციელების ადგილი[35]	საქართველო, 0800 ქ. ახალციხე, რუსთაველის ქ. №122, II კორპუსი
14	გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღი	26 ნოემბერი, 2018წ.
15	აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოსადგენად/მონიტორინგის განსახორციელებლად განსაზღვრული ვადა[36]	ანგარიშის წარმოსადგენად განსაზღვრული ვადა - 9 თვე (26 აგვისტო, 2019წ.), მონიტორინგის განსახორციელებლად განსაზღვრული ვადა - 9 თვე
16	აკრედიტაციის ვადის გასვლის თარიღი	26 ნოემბერი, 2025წ.

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

√ არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

√ არა

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ ანგარიშსა და მასზე თანდართულ მასალებს. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

საბჭოს თავჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო განსახილველი საკითხი და მიმართა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენელს წარმოედგინა „ბიზნესის ადმინისტრირების“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ანგარიში.

მეხუთე საკითხის ზეპირი მოსმენა

საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლის პოზიცია

---

[33] მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში

[34] სწავლის სფეროების კლასიფიკატორის შესაბამისი დეტალური სფეროს ოთხნიშნა კოდი

[35] ქვეყანა, ქალაქი/მუნიციპალიტეტი, საფოსტო ინდექსი, ქუჩა, ქუჩის ნომერი

[36] საბჭოს მიერ რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოდგენის შესახებ/მონიტორინგის განსახორციელებლად გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენელმა, საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელმა თინათინ გელაშვილმა აღნიშნა, რომ თითქმის ყველა რეკომენდაცია იყო საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე გაცემული რეკომენდაციების მსგავსი და უნივერსიტეტმა ყველა რეკომენდაცია გაითვალისწინა.
პირველი რეკომენდაცია ეხებოდა სამაგისტრო ნაშრომის წინაპირობების დაკონკრეტებას, რაც შესრულდა. დაშვების წინაპირობად განისაზღვრა ყველა სავალდებულო კურსის ჩაბარება. საგანმანათლებლო პროგრამის არჩევის მოდულში, უძრავი ქონების ადმინისტრირების მიმართულებით, უნივერსიტეტმა მიწის გარდა, სხვა უძრავი ქონების (შენობა-ნაგებობის) ადმინისტრირებაც გაითვალისწინა, შესაბამისად, ჩამოყალიბდა მიწისა და უძრავი ქონების ადმინისტრირების მოდული. უნივერსიტეტმა შესწორება შეიტანა სასწავლო კურსებშიც. რაც შეეხება, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების გამოყენების სახელწოდების კორექტირებას, გაიმიჯნა საგანმანათლებლო პროგრამის სავალდებულო დისციპლინების სახელწოდებებისთვის ნომრების მინიჭებით. შესაბამისად, აღნიშნული პროგრამების სილაბუსებიც განსხვავებულია.
შემდეგი რეკომენდაცია ეხებოდა სამაგისტრო ნაშრომების მომზადების ინსტრუქციის მკაცრად დაცვას. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლის თქმით, მათ ინსტრუქცია შეცვალეს და წლევანდელი დაცვა ბევრად განსხვავდება წინა წლების სამაგისტრო ნაშრომების დაცვისაგან, რაშიც უნივერსიტეტს დაეხმარა ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი ერასმუს პლიუსის პროგრამით, რაც ითვალისწინებს პლაგიატზე შემოწმების პროგრამის გამოყენებას. მსგავსი მოთხოვნების ზრდის შედეგად ნაშრომები უფრო ხარისხიანია, რის მაგალითადაც უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენელს მოაქვს ის ფაქტი, რომ სტუდენტებს 5 -ჯერ დაუბრუნეს ნაშრომი, სანამ მათ საბოლოოდ არ აღმოფხვრეს შეცდომები.

საბჭოს თავჯდომარემ დაუზუსტა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენელს, რომ რეკომენდაცია ეხებოდა ინსტრუქციის მოთხოვნის შესრულებას.

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენელმა ისაუბრა სტუდენტთა გაცვლით პროგრამებში მონაწილეობასთან დაკავშირებით და თქვა, რომ არსებობს ზოგადი საუნივერსიტეტო განაცხადები და მასში მონაწილეობა დამოკიდებულია სტუდენტის სურვილზე. მან განმარტა, რომ ჩარიცხული სტუდენტების პირველ ნაკადს ჰქონდა ენის ცოდნის პრობლემა, შესაბამისად, ჩარიცხვის წინაპირობად განისაზღვრა ინგლისური ენის B2 დონეზე ცოდნა. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენელის თქმით, 15 სტუდენტიდან 13-მა სტუდენტმა ინგლისური იცის შესაბამის დონეზე და იმედოვნებს, რომ ისინი მიიღებენ მონაწილეობას გაცვლით პროექტებში, სტაჟირებებში და ა. შ. რაც შეეხება კვლევების კუთხით აკადემიური და მოწვეული პროფესორების ხელშეწყობას, მან აღნიშნა, რომ მიმდინარე წლის 13 ოქტომბერს 4 თანამშრომელი ჩაერთვება ერასმუს პლიუსის პროგრამაში, რომელიც ეხება სტრატეგიულ განვითარებასა და მენეჯმენტს. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენელმა ასევე დაამატა, რომ თავად მას და მათი უნივერსიტეტის აკადემიურ პერსონალს, რომლებიც ახორციელებენ საგანმანათლებლო პროგრამას, სტაჟირება გავლილი აქვთ უცხოეთში. შემდეგ რეკომენდაციასთან დაკავშირებით, რომელიც ეხებოდა სტუდენტთა გამოკითხვებს, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ ევროკავშირის ფარგლებში შემუშავებულ თითქმის ყველა სასწავლო კურსს, რომლებიც გათვალისწინებულია მათ საგანმანათლებლო პროგრამებში, აქვს გამოკითხვის საკუთარი ფორმა, რომელიც მოცემულია ელექტრონული სახით და ანონიმურია. აღნიშნული გამოკითხვით ფასდება როგორც კურსი, ასევე პედაგოგი. მისივე თქმით, უმაღლესმა საგანმანათლებლო დაწესებულებამ შეიძინა IOS სისტემის ლაბორატორია, რომელიც გახლავთ შეფასების სისტემა. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება იწყებს განმავითარებელი შეფასების ახალი მეთოდების დანერგვას, რაც მოიცავს 4 მეთოდს.

სათათბირო შესვენება

დაწყების დრო 17:25 სთ
დამთავრების დრო 17:30

საბჭოს თავმჯდომარე

ხელმოწერა

საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ ,,დაწყებითი განათლების მასწავლებლის მომზადების" ინტეგრირებულ პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის ცნობად მიღების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე- 11
წინააღმდეგი-0

გადაწყვეტილება
აკრედიტაციის დებულების 27[6] მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე, საბჭოს მიერ სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ ,,დაწყებითი განათლების მასწავლებლის მომზადების" ინტეგრირებულ პროგრამაზე წარმოდგენილი წარმოდგენილი ანგარიში მიღებულ იქნა ცნობად.

საბჭომ წარმოდგენილი ანგარიში მიიჩნია საკმარისად და მიიღო გადაწყევტილება 2018 წლის 8 აგვისტოს №97 გადაწყვეტილებით განსაზღვრული მონიტორინგის გაუქმების თაობაზე.

საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ ,,ბიზნესის ადმინისტრირების" საბაკალავრო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის ცნობად მიღების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე- 11
წინააღმდეგი-0

გადაწყვეტილება
აკრედიტაციის დებულების 27[6] მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე, საბჭოს მიერ სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ „ბიზნესის ადმინისტრირების" საბაკალავრო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიში მიღებულ იქნა ცნობად.

საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ ,,ბიზნესის ადმინისტრირების" სამაგისტრო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის ცნობად მიღების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე- 11
წინააღმდეგი-0

გადაწყვეტილება

აკრედიტაციის დებულების 27[6] მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე, საბჭოს მიერ სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ „ბიზნესის ადმინისტრირების" სამაგისტრო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიში მიღებულ იქნა ცნობად.

საბჭოს თავმჯდომარე

ხელმოწერა

6. მეექვსე საკითხი: სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ ,,მეტეოროლოგია-კლიმატოლოგიის" სამაგისტრო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა

№	ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება[37]	მეტეოროლოგია, კლიმატოლოგია
2	სტატუსი[38]	აკრედიტებული
3	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	23 თებერვალი 2018წ. №36
4	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება[39]	"------"
5	უმაღლესი განათლების საფეხური[40]	მაგისტრატურა
6	კვალიფიკაციის დონე[41]	მეშვიდე
7	კვალიფიკაციის დასახელება	გეოგრაფიის მაგისტრი
8	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით[42]	„------„
9	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0532 დედამიწის შემსწავლელი მეცნიერებები
10	კვალიფიკაციის კოდი[43]	0505
11	სწავლების ენა	ქართული
12	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	120
13	განხორციელების ადგილი[44]	საქართველო, 2200 ქ. თელავი, ქართული უნივერსიტეტის ქუჩა №1
14	გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღი	23 თებერვალი, 2018წ.
15	აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოსადგენად/მონიტორინგის განსახორციელებლად განსაზღვრული ვადა[45]	ორ ეტაპიანი მონიტორინგი - პირველი ეტაპისთვის განსაზღვრული ვადა - 5 თვე (23 ივლისი, 2018წ.), მეორე ეტაპისთვის განსაზღვრული ვადა 1 წელი (23 თებერვალი, 2018წ.).
16	აკრედიტაციის ვადის გასვლის თარიღი	23 თებერვალი, 2025წ.

[37] დეტალური სწავლის სფეროს შესაბამისი
[38] ავტორიზებული ან/და ხელახალი აკრედიტაცია; ავტორიზებული ან/და ახალი აკრედიტაცია
[39] საგანმანათლებლო პროგრამის დასახელების ცვლილების შემთხვევაში
[40] ბაკალავრიატი; მაგისტრატურა; საბაკალავრო-სამაგისტრო; დოქტორანტურა
[41] ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მიხედვით
[42] მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში
[43] სწავლის სფეროების კლასიფიკატორის შესაბამისი დეტალური სფეროს ოთხნიშნა კოდი
[44] ქვეყანა, ქალაქი/მუნიციპალიტეტი, საფოსტო ინდექსი, ქუჩა, ქუჩის ნომერი
[45] საბჭოს მიერ რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოდგენის შესახებ/მონიტორინგის განსახორციელებლად გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში

საბჭოს თავმჯდომარე _____

ხელმოწერა

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

√ არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

√ კი

თეა მჭედლური

თვითაცილების საფუძველს წარმოადგენს შრომითი ურთიერთობა სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტთან.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ ანგარიშსა და მასზე თანდართულ მასალებს. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

საბჭოს თავჯდომარემ მიმართა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენელს, რომ წარმოედგინა ანგარიში.

მეექვსე საკითხის ზეპირი მოსმენა

საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლ(ებ)ის პოზიცია
დაწესებულების წარმომადგენელმა, საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ უნივერსიტეტმა გაითვალისწინა ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაციები. რეკომენდაცია ეხებოდა იმას, რომ სილაბუსში მოცემული ლიტერატურა არ შეესაბამებოდა თანამედროვე მოთხოვნებს და სილაბუსების უმეტესი ნაწილის ავტორი გახლდათ თავად საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი. შესაბამისად, მოწესრიგდა სილაბუსი და გადანაწილდა სხვადასხვა ავტორებზე.

დისკუსია
საბჭოს თავჯდომარე დაინტერესდა, თუ რა შეცვალა ავტორების გადანაწილებამ, რაზეც უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენელმა უპასუხა, რომ ამან დახვეწა სილაბუსი, დაემატა ახალი ლიტერატურა და რიდერი, განახლდა სალექციო კურსები, ყველაფერი ეს კი აისახა სილაბუსის შინაარსზე.

საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლ(ებ)ის პოზიცია
რაც შეეხება მატერიალურ-ტექნიკურ ბაზას, საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებას აქვს სტანდარტული მეტეოროლოგიური საგნებისათვის დამახასიათებელი ბაზა, თუმცა ექსპერტთა მოთხოვნა იყო, რომ ყოფილიყო რაიმე საშუალება, რისი დახმარებითაც სტუდენტები დისტანციურად იმუშავებდნენ აღნიშნულ ელექტრონულ ხელსაწყოზე. შესაბამისად, უმაღლესმა საგანმანათლებლო დაწესებულებამ გარემოს ეროვნულ სააგენტოსთან გააფორმა მემორანდუმი, რომელშიც პირდაპირ გაიწერა რომ უნივერსიტეტში უნდა დამონტაჟებულიყო თანამედროვე ტიპის ავტომატური მეტეოროლოგიური სადგური, რომელიც უზრუნველყოფდა მეტეოროლოგია-კლიმატოლოგიის სადოქტორო და სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების ნორმალურად წარმართვას.
უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლის თქმით, 2018 წლის სექტემბერში დამონტაჟდა აღნიშნული სადგური, რომელიც არის ფინური წარმოების და აღჭურვილია მგრძნობიარე სენსორებით, რომელსაც შეუძლია, მაქსიმალური სიზუსტით განსაზღვროს ძირითადი მეტეოროლოგიური ელემენტები სამეცნიერო კვლევებისათვის. ის ჩართულია საერთაშორისო მეტეოროლოგიურ ქსელში და გარდა იმისა, რომ სტუდენტებს დაეხმარება და სამეცნიერო კვლევებისთვის გამოდგება, ის რეკომენდებულია ამინდის პროგნოზის სხვადასხვა სქემებისათვის და გამოიყენება სამთავრობო

საბჭოს თავმჯდომარე

ხელმოწერა

ორგანიზაციებში სხვადასხვა ეროვნული შეტყობინებებისთვის. აღნიშნული სადგური იყო პირველი საქართველოს უნივერსიტეტებს შორის და აღნიშნული უნივერსიტეტი არის ერთადერთი, რომელსაც აქვს სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა ამ მიმართულებით. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ის არის საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის (ჰიდრომეტეოროლოგიის ინსტიტუტში) კლიმატოლოგიისა განყოფილების გამგე, რომელიც უზრუნველყოფს სტუდენტებს მონაცემთა ბაზებით, ლიტერატურით, ბიბლიოთეკით და სხვა მატერიალურ-ტექნიკური საშუალებებით. აქედან გამომდინარე, აღნიშნული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელება შესაძლებელი გახდა თელავის უნივერსიტეტში.

სათათბირო შესვენება

დაწყების დრო - 17:36 საათზე
დამთავრების დრო - 17:45 საათზე

საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ ,,მეტეოროლოგია-კლიმატოლოგიის" სამაგისტრო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის ცნობად მიღების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 10
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება
აკრედიტაციის დებულების 27[6] მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე, საბჭოს მიერ სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ ,,მეტეოროლოგია-კლიმატოლოგიის" სამაგისტრო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიში მიღებულ იქნა ცნობად.

7. **მეშვიდე საკითხი:** სსიპ - გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის მიერ ,, ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის მომზადების" ინტეგრირებულ (საბაკალავრო-სამაგისტრო) პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა

№	**ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება[46]	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო
2	სტატუსი[47]	აკრედიტებული
3	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	08 აგვისტო, 2018წ. №98
4	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება[48]	"------"

[46] დეტალური სწავლის სფეროს შესაბამისი
[47] ავტორიზებული ან/და ხელახალი აკრედიტაცია; ავტორიზებული ან/და ახალი აკრედიტაცია
[48] საგანმანათლებლო პროგრამის დასახელების ცვლილების შემთხვევაში

საბჭოს თავმჯდომარე

ხელმოწერა

5	უმაღლესი განათლების საფეხური[49]	მაგისტრატურა
6	კვალიფიკაციის დონე[50]	მეშვიდე
7	კვალიფიკაციის დასახელება	განათლების მაგისტრი
8	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით[51]	დაწყებითი, მათემატიკა, ბუნებისმეტყველება, ქართული ენა და ლიტერატურა, საზოგადოებრივი მეცნიერებები
9	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0114
10	კვალიფიკაციის კოდი[52]	0302
11	სწავლების ენა	ქართული
12	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	300
13	განხორციელების ადგილი[53]	საქართველო, 1400 ქ. გორი, ჭავჭავაძის ქ. №68
14	გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღი	08 აგვისტო, 2018წ.
15	აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოსადგენად/მონიტორინგის განსახორციელებლად განსაზღვრული ვადა[54]	ანგარიშის წარმოსადგენად განსაზღვრული ვადა - 1 წელი (08 აგვისტო, 2019წ.), მონიტორინგის განსახორციელებლად განსაზღვრული ვადა - 1 წელი
16	აკრედიტაციის ვადის გასვლის თარიღი	08 აგვისტო, 2022წ.

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

√ არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

√ კი

თეა მჭედლური, ნინო ლიპარტია

თვითაცილების საფუძველს წარმოადგენს შრომითი ურთიერთობა სსიპ - გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტთან.

საბჭოს თავმჯდომარის გადაწყვეტილებით, აკრედიტაციის დებულების 27[2] მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, სხდომის მდივნის ფუნქციის შესრულება დაეკისრა საბჭოს წევრს, სალომე თოთიბაძეს.

---

[49] ბაკალავრიატი; მაგისტრატურა; საბაკალავრო-სამაგისტრო; დოქტორანტურა

[50] ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მიხედვით

[51] მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში

[52] სწავლის სფეროების კლასიფიკატორის შესაბამისი დეტალური სფეროს ოთხნიშნა კოდი

[53] ქვეყანა, ქალაქი/მუნიციპალიტეტი, საფოსტო ინდექსი, ქუჩა, ქუჩის ნომერი

[54] საბჭოს მიერ რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოდგენის შესახებ/მონიტორინგის განსახორციელებლად გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ ანგარიშსა და მასზე თანდართულ მასალებს. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

საბჭოს თავჯდომარემ მიმართა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენელს წარმოედგინა ანგარიში.

მეშვიდე საკითხის ზეპირი მოსმენა

საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლის პოზიცია

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ მათ გაითვალისწინეს ოთხივე რეკომენდაცია, რომელიც ექსპერტთა ჯგუფმა გასცა. პირველი რეკომენდაცია ეხებოდა ბუნებისმეტყველების სილაბუსებში ინტერდისციპლინური სწავლების ელემენტის ჩართვას. აღნიშნული რეკომენდაცია საგანმანათლებლო დაწესებულებამ გაითვალისწინა ბუნებისმეტყველების სამივე ნაწილში: ბუნებისმეტყველება 1 მოიცავს გეოგრაფიის, ასტრონომიისა და ეკოლოგიის საკითხებს, ბუნებისმეტყველება 2 - ბოტანიკის, ზოოლოგიისა და ეკოლოგიის საკითხებს, ბუნებისმეტყველება 3 - ადამიანის ანატომიისა და ეკოლოგიის საკითხებს.
მეორე რეკომენდაციის მიხედვით, სასწავლო კურსებში, სადაც წარმოდგენილი იყო ჩაშენებული პრაქტიკა, სილაბუსების შინაარსში სკოლაში ვიზიტისას უნდა გამოჩენილიყო განსახილველი თემატიკა და განსახორციელებელი აქტივობები. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლის თქმით, ჩაშენებული სასწავლო პრაქტიკა, აღნიშნული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში, ექვს სასწავლო კურსშია გათვალისწინებული. ექვსივე სასწავლო კურსში, სკოლაში ვიზიტის დროს განსახილველი თემატიკა და აქტივობები, თითოეული სასწავლო კურსის შინაარსშია გაწერილი. ასევე, ჩაშენებული სასწავლო პრაქტიკის შეფასებაში დასკვნით გამოცდაზე სტუდენტის დასაშვებად დაწესდა მინიმალური კომპეტენციის ზღვარი.
მესამე რეკომენდაცია ეხებოდა დაგეგმვისა და შეფასების სასწავლო კურსში განმავითარებელ შეფასებაზე აქცენტის გაკეთებას. შესაბამისად, აღნიშნული სასწავლო კურსის შინაარსში შეიტანეს გარკვეული ცვლილებები, რითაც აქცენტი გამახვილდა განმავითარებელ შეფასებაზე.
მეოთხე რეკომენდაცია, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით, ეხებოდა პრაქტიკის კვლევის კომპონენტის გაძლიერებას სასწავლო კურსებში. გამომდინარე აქედან, კვლევის თანამედროვე მეთოდებს შეეცვალა სახელწოდება და დაერქვა „კვლევის მეთოდები განათლებაში და პრაქტიკის კვლევა", რომლის კრედიტების მოცულობა 6 კრედიტიდან 9 კრედიტამდე გაიზარდა, რითაც პრაქტიკის კვლევის კომპონენტს დაეთმო მეტი ადგილი, კერძოდ, სტუდენტებს მიეცათ პრაქტიკის სკოლებში გავლის შესაძლებლობა.

საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის მიერ „ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის მომზადების" ინტეგრირებულ (საბაკალავრო-სამაგისტრო) პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის ცნობად მიღების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 9

წინააღმდეგი - 0

საბჭოს თავმჯდომარე _____

ხელმოწერა

გადაწყვეტილება:

აკრედიტაციის დებულების 27[6] მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე, საბჭოს მიერ სსიპ - გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის მიერ „ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის მომზადების“ ინტეგრირებულ (საბაკალავრო-სამაგისტრო) პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიში მიღებულ იქნა ცნობად.

საბჭოს თავმჯდომარე	ქეთევან ქოქრაშვილი
საბჭოს მდივანი	ნინო ლიპარტია
სხდომის მდივანი	სალომე თოთიბაძე